ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი N4

დაბა ქედა 24 აპრილი, 2024 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:15 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ბერიძე - კომისიის წევრი;
ოთარი ხარაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრები:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი;
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

24.04.2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
4	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ბერიძე	კომისიის წევრი	
6	ოთარ ხარაძე	კომისიის წევრი	
7	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	
8	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2023 წლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა.

მომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე.

1. მოისმინეს: სხდომის თავჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა (განცხადების ნომერი N:12-95241133-95; განცხადების თარიღი 22.04.2024) ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2023 წლის ანგარიში.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2023 წლის ანგარიში შემდეგი სახით:

2023 წელში ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ ჩატარებულია დებულებით მონიჭებული უფლება-მოვალეობის ფარგლებში შემდეგი სამუშაოები:

- შედგენილი და საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა 2023-2027 წლებისთვის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა.
- მომზადებულია ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების 2023-2027 წლების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს მიერ.
- მომზადდა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ამოცანების დოკუმენტი.
- წლის დასაწყისისათვის მომზადდა მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, რაც გათვალისწინებული იყო 10 782 173 ლარზე.

სულ შესყიდვებზე გაფორმდა 229 ხელშეკრულება, აქედან:

ა) ელექტრონული ტენდერების გზით გაფორმებულია 87 ხელშეკრულება.

ბ) პირდაპირი შესყიდვის გზით 94 ხელშეკრულება.

გ) კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით 48 ხელშეკრულება.

- სულ წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვებზე გამოცხადდა 129 ელექტრონული ტენდერი. აქედან დადებითად დასრულდა 93 ტენდერი, არ შედგა 21 ტენდერი, ხოლო უარყოფითად დასრულდა 10 ტენდერი, შეწყვეტილი იქნა 5 ტენდერი.
- ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვაზე გაფორმდა 47 ხელშეკრულება, რომლის შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 7 320 000 ლარი.
- ვადამდე შეწყდა ერთი ხელშეკრულება - დანდალოს კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოების თაობაზე.
- სამსახურის მიერ მომზადდა 2024 წლის ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესყიდვის თაობაზე 20 პროგრამა და წარდგენილი იქნა ბიუჯეტში განსახილველად. ასევე, მომზადდა ორო პროგრამა, ავტოტრანსპორტით მგზავრთა მომსახურების და სამედიცინო დარგის ექიმთა ტრანსპორტით მომსახურების

პროგრამა, რომელთა მონიტორინგს აწარმოებს ეკონომიკური განვითარების სამსახური.

- 2023 წლის განვლილ პერიოდში საკრებულოს მიერ დამტკიცებული საპრივატიზაციო ნუსხის შესაბამისად პრივატიზებულია 4 ერთეული ქონება, მათ შორის ორი ერთეული ავტომანქანა, ერთი მიწის ნაკვეთი და ერთი ერთეული არასაცხოვრებელი ფართი. რომელთა პრივატიზებით მიღებულია 11978,55 ლარი.
- მუნიციპალურ ქონებად დარეგისტრირდა 17 ერთეული ქონება.
- სხვადასხვა უწყებებზე გადაცემულია 10 ერთეული ქონება, მათ შორის:
- საფეხბურთო კლუბი „ბეთლემი" ელექტრონული აუქციონის გზით 29 წლის ვადით (წლიურად 2200 ლარად), მართვის უფლებით გადაეცა შპს „ტექტო ჯგუფი"-ს, რომელიც ვალდებულია სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში კლუბში განახორციელოს 4 350 000 ლარის ინვესტიცია და 5 წლის ვადაში უზრუნველყოს კლუბის მე-2 ლიგაში ასპარეზობა.
- 2 ერთეული სარწყავი არხი გადაცემულია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროზე მისი მოვლა-შენახვის და შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით.
- 5 ერთეული ქონება (მიწის ნაკვეთი) გადაეცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, შემდგომში სს აჭარისწყლის ალიანსზე გადაცემის მიზნით, მასზე წყალმომარაგების სისტემების მშენებლობის პირობით.
- ერთი ერთეული მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული 147,96 კვ. მეტრი შენობა-ნაგებობით გადაეცა სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს, მასში ქედის სასწრაფო ბრიგადის განთავსების მიზნით.
- ერთი ერთეული საცხოვრებელი ბინა გადაეცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, შემდგომში იქ მცხოვრებ მოქალაქეზე საკუთრებაში გადაცემის პირობით.

დეკემბრის თვეში მერის ბრძანების შესაბამისად სამსახურის უშუალო მონაწილეობით ჩატარდა მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაცია. ასევე, 2024 წლისათვის ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით გამოცხადდა 15 ელექტრონული ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულებები. სულ 2023 წლის განმავლობაში სამსახურში შემოსულია 621 წერილობითი დოკუმენტი, მოქალაქეთა განცხადებები და სხვადასხვა უწყებიდან მიღებული კორესპონდენციები, მოქალაქეთა განცხადებები ძირითადად შეეხება ხეტყის და მილების გამოყოფას, მიწის ნაკვეთის გაყოფა-შეერთებაზე თანხმობის გაცემას, სხვადასხვა ქონებრივი დავის მოგვარებას და სხვა. ყველა წერილობითი დოკუმენტი განხილულია დროულად და გაცემულია წერილობითი პასუხები. ეკონომიკური სამსახური კოორდინაციას უწევს მერიასთან შექმნილი ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების საქმიანობას. შპს-ების მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და ქონების მართვის საკითხების თაობაზე ორგანიზებას უწევს პარტნიორთა კრებების ჩატარებასა და მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზებას.

სამსახურში დასაქმებული 8 თანამშრომელი აქტიურად მონაწილეობს მერიის მიერ სხვადასხვა საკითხების თაობაზე შექმნილ კომისიებში, მათ შორის სატენდერო

კომისიაში, მთის სტატუსის მინიჭებისათვის შექმნილ კომისიაში, ბიუჯეტის ფორმირებისათვის შექმნილ კომისიებში და სხვა.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5.
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2023 წლის ანგარიში“-ს საკრებულოს სხდომაზე განხილვა.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:15 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **ამირან წულუკიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **ციური ზაქარაძე**